




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 36

2018 წლის 1 მაისი

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის №3 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესისა და გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-29 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის №3 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესისა და გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 09/02/2016 ; 010250050.35.143.016374) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

- ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესისა და გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“;
- ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი დანართი №1-ის სახით (თან ერთვის);
- გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი დანართი №2-ის სახით (თან ერთვის);

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესი

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესი” (შემდგომ - წესი) განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესს, ფორმას, ადგილს და პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას.

2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობით, რეგულირდება ამ წესით.

3. ამ წესით განსაზღვრული პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა არ არის ამომწურავი და არ ათავისუფლებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებიდან.

**მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესი**

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით.

2. ამ დადგენილებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაცია ნებისმიერი პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დაუშვებელია პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნებულ საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან ნებისმიერი სხვა შეზღუდვის დადგენა. გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეთხვევებისა.

3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირ(ებ)ს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით იმავე ან/და სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებიდან.

4. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

**მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების ადგილი**

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი უზრუნველყოფენ ნუსხით

განსახდვრულ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნებას ამ მუხლის მე-2 -მე-5 პუნქტებით დადგენილი წესით:

ა) ელექტრონული ფორმით-ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების ელექტრონულ რესურსზე;

ბ) ბეჭდური ფორმით - ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში განთავსებულ საჯარო განცხადებების დაფაზე, ასევე ბეჭდვითი ორგანოების გამოყენებით.

2. ელექტრონული ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე: [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge).

3. ბეჭდური ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების შენობებში სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას. ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში ბეჭდური ფორმით ინფორმაცია ქვეყნდება საჯარო განცხადებების დაფების გამოყენებით, რომელიც უნდა განთავსდეს დასახლებების უბნების მიხედვით, უბანში რეგისტრირებულ ყოველ 500 ამომრჩეველზე არანაკლებ ერთი საინფორმაციო განცხადების დაფის ოდენობით.

4. ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საინფორმაციო განცხადების დაფაზე ინფორმაციის განახლებაზე პასუხისმგებელია შესაბამის დასახლებაში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი.

5. იმ შემთხვევაში, თუ გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია დიდი მოცულობისაა და მისი სრულად გამოქვეყნება ვერ ხერხდება, ხაშურის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების და იურიდიული პირ(ებ)ის შენობებში სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას ან/და ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საინფორმაციო განცხადებების დაფებზე, აუცილებელია აღნიშნულ ადგილებში მიეთითოს დოკუმენტის შესაბამისი რეკვიზიტები (სათაური, მიმღები ორგანო, მიღების თარიღი, დოკუმენტის ნომერი) და ადგილი, სადაც შესაძლებელია დოკუმენტის სრული ვერსიის გაცნობა და ასლის გადაღება.

**მუხლი 4. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოყენების სტანდარტი**

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან უსრულწველი პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. აღნიშნული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს მისი განახლების თარიღი.

2. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება, ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა

1. ზოგადი ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის შესახებ

№	ინფორმაციის დასახელება	განახლების ვადები	
1.1	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	განახლება შემთხვევაში	ცვლილების
1.2	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	განახლება შემთხვევაში	ცვლილების
1.3	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად	
1.4	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები	განახლება შემთხვევაში	ცვლილების
1.5	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	განახლება შემთხვევაში	ცვლილების

1.6	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი	განახლებადია შემთხვევაში	ცვლილების
-----	--	--------------------------	-----------

2. საჯარო ინფორმაციის გვერდი

2.1	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები	განახლებადია შემთხვევაში	ცვლილების
2.2	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	განახლებადია შემთხვევაში	ცვლილების
2.3	ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ	განახლებადია შემთხვევაში	ცვლილების
2.4	ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად	
2.5	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	ქვეყნდება კვარტალურად	

3. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებების საკადრო უზრუნველყოფის შესახებ

3.1	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	განახლებადია შემთხვევაში	ცვლილების
3.2	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, ავტომატურ გენდერულ შრილში	ქვეყნდება კვარტალურად	

4. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოების და იურიდიული პირ(ებ)ის მიერ განხორციელებული შესყიდვების და ქონების პრივატიზების შესახებ

- |   |   |   |
|---|---|---|
| 4.1   | ხაშურის მუნიციპალიტეტის შესყიდვების წლიური გეგმა  | ქვეყნდება კვარტალურად   |
| 4.2   | ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით | ქვეყნდება კვარტალურად   |
| 4.3   | ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის ქონების უსაფრთხოებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ   | ქვეყნდება კვარტალურად   |
| 4.4   | ოველი მის განთავსებაზე გაწეული ხარჯები  | ქვეყნდება კვარტალურად   |
| 4.5   | ხაშურის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა  | მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში |
| 4.6   | ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა  | მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში                                 |
| 5. ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ |   |   |
| 5.1   | ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი  | მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 5 დღის ვადაში     |
| 5.2   | ხაშურის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები   | ქვეყნდება კვარტალურად   |
| 5.3   | ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნახაზიდი ვამით)   | ქვეყნდება კვარტალურად და ყოველწლიურად                             |

- |      |  |  |
|------|--|--|
| 5.4  | საანგარიშო წლის ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში   | მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში |
| 5.5  | ინფორმაცია გაცემული სარგოს, საკლასო დანამატის, სახელოფასო დანამატის და ფულად ჯილდოს კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)  | ქვეყნდება კვარტალურად  |
| 5.6  | ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამილიონო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით) | ქვეყნდება კვარტალურად  |
| 5.7  | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით                         | ქვეყნდება ყოველწლიურად   |
| 5.8  | ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად   | ქვეყნდება ყოველწლიურად   |
| 5.9  | ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად   | ქვეყნდება ყოველწლიურად   |
| 5.10 | ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის  | ქვეყნდება ყოველწლიურად   |

ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი

5.11	ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.12	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.13	ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის, მიზნობრიობა და გრანტის მოცულობა	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.14	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება კვარტალურად
5.15	სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ	ქვეყნდება აქტის მიმღები ორგანოს მიერ ძალაში შესვლიდან 10 დღეში

#### 6. სამართლებრივი აქტები

6.1	ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაცავშირებული ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის საქმიანობასთან	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში
6.2	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში

#### 7. საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრული გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია

7.1	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები	შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;
7.2	დასახლების საერთო კრების ოქმები	მერიის მიერ შესაბამისი ოქმის ან მისი ასლის მიღებიდან 10 დღის



7.3	ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის და გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ	ინფორმაციის რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში
7.4	მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ გათვალისწინებული ანგარიშები	შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში

#### 8. სხვა საჯარო ინფორმაცია

8.1	საშურის მუნიციპალიტეტის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის სერვისების შესახებ ინფორმაცია	განახლებადია შემთხვევაში	ცვლილების
8.2	ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილი ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება საშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ	განახლებადია შემთხვევაში	ცვლილების

**შენიშვნა:** კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტალის დასასრულიდან 1 თვის განმავლობაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის განახლება დაკავშირებულია შესაბამის სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანასთან, ინფორმაცია უნდა განახლდეს შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში.